

ღია კარები ღია გულები

ბიბლიური სტუმართმოყვარეობის გააზრება

THE SALVATION ARMY
SPIRITUAL LIFE DEVELOPMENT
INTERNATIONAL HEADQUARTERS

ღია კარები ღია გულები

ბიბლიური სტუმართმოყვარეობის გააზრება

ნიჭი, მცნება და სახარების ანარეკლი.

სტუმართმოყვარეობა არ არის მხოლოდ მათი პასუხისმგებლობა, ვინც ეკლესიის კართან მოსულ მრევლს ეგებება ან უმასპინძლდება მათ გამაგრილებელი სასმლით თუ სასუსნავებით. არც მხოლოდ მათთვისაა, ვისთვისაც სტუმართმოყვარეობა სულიერი ნიჭია.

ჩვენ ყველანი მოწოდებულნი ვართ სტუმართმოყვარეობა გამოვიჩინოთ გარშემომყოფების მიმართ.

ბიბლიური სტუმართმასპინძლობა არის მოქმედი და მოსიყვარულე. ეს არის სხვების მიღება და მსახურება ჩვენი ხელებით და გულით, მათი მოპატიჟება ღვთის ოჯახში. გაღებული კარით და ღია გულით ჩვენ ვეპატიჟებით მათ იმ სივრცეში სადაც მათ ამჩნევენ, სადაც უყვართ და სადაც აფასებენ. იმ ადგილას სადაც მათ შეეძლებათ იესოსთან შეხვედრა და ღმერთისგან მათთვის განზრახული სავსე ცხოვრების აღმოჩენა.

ჩვენ, იესო ქრისტეს მიმდევრებმა უნდა მოვიწვიოთ ყველა ვისაც ვიცნობთ და ვისაც არ ვიცნობთ, ჩვენნაირი თუ განსხვავებული.

მომდევნო რვა დღე გეპატიჟებით ერთად შევხედოთ ბიბლიაში მოცემული სტუმართმოყვარეობის მაგალითებს და დრო დავუთმოთ იმაზე ფიქრს კარგად როგორ გამოვიყენოთ სტუმართმოყვარეობა საკუთარ ცხოვრებაში.

ყოველდღე წაიკითხავთ საკითხავს ბიბლიიდან. წაკითხვის შემდეგ დაფიქრდით ან ისაუბრეთ წაკითხულზე მოცემული კითხვების გამოყენებით.

საუბარი/ნაფიქრი დაასრულეთ ლოცვით. სთხოვეთ ღმერთს გაგიცხადოთ რაღაც ახალი დღეს.

დესტრუქცია

ლუკა 13:10-17

ქალი თაყვანსაცემად მოვიდა. იგი წელში იყო მოხრილი. მას სწორად დგომა არ შეეძლო. მისი თვალები მუდმივად დამწუხრებულია. ქალი, როგორც ამ საზოგადოების ნაწილი ვიღაცის საკუთრებაა და მას არანაირი ძალაუფლება არ გააჩნია. როგორც ცოდვილი სულით დაკრუნჩხული ქალი იგი ცოდვილად და საფრთხედ არის გამოცხადებული რელიგიური საზოგადოებისთვის... და მაინც, ის მაინც მოდის თაყვანსაცემად. მას არ მიუტოვებია თავისი რწმენა ან მისი ღმერთი.

იესო ხედავს მას და ეუბნება – 'ქალო შეჩერდი.'

შეჩერდი: ყურადღებით!

18 წლის მანძილზე ხალხი მას გვერდს უვლიდა ჭირიანივით, თვალსაც არიდებდნენ და არც არავინ ეხებოდა, მიუხედავად ამისა იესომ ის შეამჩნია; აქცევს მას რწმენის ყურადღების ცენტრში; ესაუბრება და მოსავს მას უფლის განკურნების სიმრთელით. იგი განახლებულია.

იესო მას 'აბრაამის ასულს' უწოდებს, ამით გამოხატავს პატივისცემას, ანიჭებს ღირსებას და სოციალურ სტატუსს. რა დიდებულია!

სტუმართმოყვარეობა (შაბათ დღეს!) და განკურნების სასწაული მიუღებელი იყო რელიგიური ლიდერებისთვის. წმინდა წერილი და კანონი ერთმანეთს შეეჯახა სიყვარულში და სტუმართმოყვარეობაში.

შეგიძლია წარმოიდგინო სცენა? დაკრუნჩხული ქალი წელში გაიმართა. გარიყული ქალი აღმოჩნდა სინაგოგის ცენტრში და დაიწყო ცეკვა!

საუბარი დესტრუქციაზე!

სტუმართმოყვარეობა გულისხმობს ჩვენთვის ძვირფასი, უცხო თუ მანკიერი ადამიანის დანახვას და ყურადღების ცენტრში მოპატიჟებას. იგი გულისხმობს მათი უფლის სიყვარულით შემოსვას, დაფასებას და პატივისცემით მოქცევას სიტყვით და საქმით. სწორედ აქ ვლინდება სტუმართმოყვარეობის ღვთაებრივი, ტრანსფორმირების ძალა. აქ ხდება განკურნება, გამრთელება და იბადება იმედი.

პოლკოვნიკი დონა ევანსი

დესტრუქცია

გააზრებისთვის:

ვინ დგას გარიყულობის ზღვარზე ჩვენს მრევლში?

ვის სჭირდება რომ დავინახოთ, დავურეკოთ, ჩავრთოთ, ჩავეხუტოთ და პატივი ვცეთ?

რა უშლის ხელს ხალხს იესომდე მისვლაში?

დღევანდელი ლოცვა:

უფალო, მოგვეცი თვალები, რომლებიც ხედავენ, მოსიყვარულე გულები სხვების მისაღებად და გაბედულება სტუმართმოყვარეობისთვის... მაშინაც კი თუ ეს გამოიწვევს დესტრუქციას. ამინ

სხვების გათვალისწინება

დაბადება 18:6-8 ლუკა 10:30-37 ესაია 58:7 გალატელთა 6:10
მათე 10:40-42 ლუკა 14:12-14 I პეტრე 4:9

სტუმართმოყვარეობა ნიშნავს სხვების გათვალისწინებას, რაც საშუალებას გვაძლევს მოვიპატიჟოთ ღმერთი და გამოვავლინოთ ჩვენი სიყვარული მათ მიმართ. თითოეული ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად ადამიანური საჭიროებებით და მოლოდინებებით. როცა გამოვავლენთ თანაგრძნობას და ღიაობას მათი გამოცდილებების მოსმენისას, უკეთ გავიგებთ მათ საჭიროებებს.

სტუმარი შეიძლება დაღლილი, მშიერი და დაჭრილიც კი მოგვადგეს. მათთვის საჭმლის და მოსასვენებლის შეთავაზება ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ ვხედავთ როგორ ექცევა აბრაამი უცნობ სტუმარს დაბადების 18 თავში და კეთილი სამარიელი როგორ უვლის დაჭრილ უცნობს იესოს იგავში, რომელიც ჩაწერილია ლუკას 10 -ში. მიპატიჟება და სხვის საჭიროებებზე ზრუნვა არის ღვთის განსაკუთრებული მცნება და იესოს ნათელი მითითება თავისი მონაფეებისთვის (მათე 10:40-42).

პრაქტიკაში შესაძლოა მასპინძლობის გაწევა ყოველთვის არ იყოს ადვილი, მაგრამ ჩვენ, იესო ქრისტეს მიმდევრები უნდა ავმაღლდეთ სირთულეებზე. შესაძლოა გვიჭირდეს მათი გამასპინძლება ვინც ტკივილი და იმედგაცრუება დაგვიტოვა გულში. როცა სტუმართმოყვარეობა რთული ხდება, შეგვიძლია უფალს მივმართოთ ლოცვით და ვთხოვოთ დახმარება, რომ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად ჩვენი დაურწმუნებლობა შეცვალოს დარწმუნებით და თანაგრძნობით განსჯის გარეშე. ჩვენს კონტექსტში, კონგოელები ნამდვილად სტუმართმოყვარენი არიან არა მხოლოდ თანატოლების მიმართ არამედ გაჭირვებულთა, დაუცველების და უცნობების მიმართ.

სტუმართმოყვარეობა არის თვისება, რომელიც გვასწავლის თუ როგორ გავუხსნათ გული სხვებს ბუზღუნის და წუწუნის გარეშე, მივიღოთ ისინი ყურადღებით, მოვუსმინოთ მათ და შევთავაზოთ მოსასვენებელი ადგილი და საჭმელი ანაზღაურების გარეშე.

როცა ვზღუდავთ ჩვენს სტუმართმოყვარეობას, ჩვენ საკუთარ თავს ვუკარგავთ ღვთის სიხარულს.

მაიორი ლუზი მავუნა
და კომისარი ჯეინ პაონი

სხვების გათვალისწინება

გააზრებისთვის:

რამდენად მსურს სხვებს გავუხსნა გული და შევთავაზო მასპინძლობა?

დღევანდელი ლოცვა:

მოსიყვარულე მამაზეციერო, გააღვიძე ჩემი გული შენი სიყვარულით, რათა მივიღო სხვები ჩემს ცხოვრებაში, სადაც არ უნდა ვიყო და ვისაც არ უნდა შევხვდე. ამინ

მაიორი ლუზი მავუნა
და კომისარი ჯეინ პაონი

მიღება

ლუკა 10:25-37

ქრისტიანული სტუმართმოყვარეობა სცილდება სიკეთის მარტივ ჟესტს; ის წარმოადგენს სხვების სრულ მიღებას მიუხედავად მათი ისტორიისა, რწმენისა თუ გარემოებისა. მიღება დამოკიდებული არ არის იმაზე თუ რამდენად ბევრი ან ცოტა ვიცით ჩვენს წინ მდგომ ადამიანზე.

სტუმართმოყვარეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მითითება გვხვდება ებრაელთა წერილში ,,სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთს ანგელოზებისთვის გაუწევია სტუმართმოყვარეობა და არ სცოდნიათ'' (ებრაელთა 13:2). ეს მითითება საფუძველს არ არის მოკლებული.

დაბადების 18-ში ვკითხულობთ როგორ თავმდაბლურად და გულუხვად უმასპინძლდება აბრაამი სამ უცხოს. მდიდარ და ასაკოვან აბრაამს ადვილად შეეძლო რომელიმე თავის მრავალრიცხოვან მსახურისთვის გადაებარებინა მოულოდნელ სამ სტუმარზე ზრუნვა, თუმცა აბრაამმა გულუხვად იზრუნა მათზე. ძალიან ბევრი რამ არ არის ცნობილი ამ სამ სტუმარზე. არც აბრაამმა და სარამ არ იცოდნენ არაფერი მათზე, მაგრამ მათ საფუძვლიანად უმასპინძლეს მათ. და როგორც აღმოჩნდა თვით ღმერთს და ორ ანგელოზს მასპინძლობდნენ.

როცა უცხოს ვმასპინძლობთ, შესაძლოა უნებლიედ ვმასპინძლობდეთ ღვთიურ ქმნილებას - როგორი განსაკუთრებულია!

ლუკას 10 თავში ვკითხულობთ იგავს კეთილი სამარიელის შესახებ. იგავი ხაზს უსვამს სამარიელის ჰუმანურ დამოკიდებულებას დაჭრილი უცხოელის მიმართ --დამოკიდებულება, რომელიც აღემატება ეთიკურ და რელიგიურ დადგენილ საზღვრებს.

სამარიელი გამოხატავს სიყვარულს და დროს არ კარგავს იმის გარკვევაში ეს დაჭრილი ადამიანი არის თუ არა მისი მოყვასი; მას არ ადარდებს მისი წარმომავლობა, ეთნიკური კუთვნილება, სტატუსი თუ სისუფთავე. ის მისი მოყვასი იყო და ეს იყო მნიშვნელოვანი.

ნამდვილ სტუმართმოყვარეობას არ გააჩნია საზღვრები და გულისხმობს 'აუთსაიდერის' მიღებასაც. ღმერთის სიყვარულში 'აუთსაიდერები' არ არსებობენ. რამე კვალიფიკაცია არ არის საჭირო სტუმრის მისაღებად ან დასაპატიჟებლად.

მაიორი არიფ მასიჰი

მიღება

გააზრებისთვის:

განავითარებთ სტუმართმოყვარეობის სულს, რომელიც ასახავს ქრისტეს მიერ გამოვლენილ უპირობო მიღებას?

დღევანდელი ლოცვა:

უფალმა მოგვანიჭოს მადლი და განვავრცოთ სტუმართმოყვარეობა, რომელიც დაფუძნებული იქნება გულწრფელ მიღებაზე, და ავირეკლოთ ქრისტეს მაგალითი, რომელიც ყველას სიყვარულითა და თანაგრძნობით ხვდებოდა. ამინ.

მადლის გადმოღვრა

ლუკა 9:51-56 ლუკა 10:25-37 იოანე 4:1-38

უდავოდ დამაჯერებლად მიმაჩნია სახარებაში აღწერილი იესოს ურთიერთობები სამარიელებთან. ეჭვგარეშეა, რომ ნაზარეთში გაზრდილი იესო დაინახავდა თავისი საზოგადოების მიკერძოებასა და ცრურწმენებს მეზობლების მიმართ. ებრაელებსა და სამარიელებს ჰქონდათ მოძულეობა ერთმანეთის მიმართ, რომელიც საუკუნეების წინდაიწყო. ეთნიკური დაპირისპირება, რელიგიური განსხვავებები და პოლიტიკური პოზიციები აშორებდა მათ რომელიც ხანდახან ძალადობაში გადადიოდა.

იესოს დამოკიდებულება სამარიელების მიმართ სრულიად ეწინააღმდეგება მათ კულტურას: იგი თავის მოწაფეებს საყვედურობს იმის გამო, რომ ისინი გაბრაზდნენ როცა ისინი სამარიელთა სოფელში არ შეუშვეს (ლუკა 9:51-56); მის ყველაზე ცნობილ იგავში სამარიელი მისაბაძი გმირია (ლუკა 10:25:37); იესო წყალს სთხოვს სამარიელ ქალს (იოანე 4:1-38). ყველა ამ მაგალითში თვალყურის მადევარი ებრაელები შოკში არიან.

დღეს საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა, აქ რას აკეთებს იესო?

როდესაც იესოს ურთიერთობას სამარიელებთან სტუმართმოყვარეობის თვალით ვუყურებთ, რაღაც უჩვეულოს ვხედავთ. სხვა ადამიანთან საკუთარი თავის გახსნის სურვილით ის მზად არის დაარღვიოს კონვენცია - ის "უწმინდურებთან" ურთიერთობით უზიარებს თავის სუფრას "აუთსაიდერებს" და ხედავს ღმერთს, რომელიც მუშაობს "ურწმუნოებში". ამის შედეგად, მტრები მოყვასები ხდებიან, უცხო ადამიანები ჩვენთვის საჩუქრები ხდებიან,ხოლო ,,სხვა'' ღვთის მადლის აგენტად გადაიქცევიან.

იესოს სტუმართმოყვარეობის მაგალითი მოგვიწოდებს გავუხსნათ გული სხვებს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. ამ გზით იხსნება ის წმიდა სივრცე საიდანაცღვთის მადლი გადმოიღვრებასულიწმიდის მეშვეობით. ამის შემდეგ ესგახდება ტრანსფორმაციის ადგილი.

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკ კოკი

მადლის გადმოღვრა

გააზრებისთვის:

შეგიძლიათ გაიხსენოდრო, როდესაც უპირობო სტუმართმოყვარეობამ შექმნა სივრცე ღვთის მადლისთვის?

□ა მოხდა?

დღევანდელი ლოცვა:

ძვირფასო უფალო, გმადლობთ, რომ გვაჩვენე რას ნიშნავს სტუმართმოყვარეობა. დაგვეხმარე რადიკალურად გავხსნათ ჩვენი გული სხვებისთვის და ამით შევქმნათ სივრცე შენი მადლისთვის. ამინ

სამართლია ნობის აქტი

ლევიტელთა 19:33-34 მათე 25:31-40

სტუმართმოყვარეობა უფლის სამეფოს სამართლიანობის აქტია; იგი გულსიხმობს ვინმეს შემჩნევას, მისი საჭიროებების დანახვას და რეაგირებას. არა მხოლოდ იმისთვის, რომ გადარჩნენ არამედ რათა გაიფურჩქნენ და განიცადონ 'შალომი''*.

უფლის სამეფოს სამართლიანობაში მოიაზრება უცხო ადამიანების დაპატიჟება, რომლებიც გახდებიან ჩვენი და მათი ცხოვრების ნაწილი. უცნობები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდნენ ჩვენგან კულტურით, წარსულით, ქვეყნით ან ენით; შესაძლოა ძალიან რთული იყოს მათი მოწვევა, მაგრამ თუ გვსურს რომ იესოს მაგალითს გავყვეთ და შევასრულოთ მისი მცნებები, ჩვენ უნდა მოვიწვიოთ ისინი, ვინც არასასურველად თვლის თავს და დავპატიჟოთ იმ საზოგადოებაში, რომელიც თბილად ჩაიკრავს გულში და აჩვენებს ღმერთის სიყვარულს იმის გააზრებით რომ ამით უმცირესს ვაკეთებთ უფლისთვის (მათე 25:40). ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ტრადიციული სტუმართმასპინძლობა, როგორიცაა საჭმლის გაზიარება - მაგრამ ეს უფრო მეტია.

ლევიტელთა 19:33-34 ღმერთი ნათელ ინსტრუქციას გვაძლევს, რომ ხიზანს უპატიოდ არ უნდა მოვექცეთ ჩვენს მიწაზე, არამედ მას, როგორც ადგლობრივ მკვიდრს ისე უნდა მოვექცეთ და შევიყვაროთ საკუთარი თავივით. მათ უნდა შევთავაზოთ 'სახლი'.

სახლი ადგილი არ არის, ეს არის ურთიერთობები.

არ არის ადვილი უცხოელად ყოფნა - როცა არ იცი, როგორი ქცევაა ნორმალური, როგორი ჩაცმულობაა მისაღები ან როგორ გაართვა თავი ყოველდღიურობას.

როგორც იესოს მიმდევრებმა, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ სიყვარული და მოთმინება ჩვენს შორის მყოფი უცხო ადამიანის მიმართ. მასთან, ვინც ნელა ითვლის სალაროსთან უცნობ ვალუტას; მძიმე ჩანთებით დატვირთულთან, რომელსაც ცოტა მეტი დრო სჭირდება აეროპორტის დაცვაში ნავიგაციისთვის; მასთან, ვინც რამდენიმე გატეხილ სიტყვა იცისმისთვის უცხო ენაზე. ჩვენ უნდა მივიღოთისინისიყვარულით და შევთავაზოთ "სახლი" ჩვენს გვერდით.

ეს არის სასუფევლის სამართლიანობა მისი საუკეთესო ფორმით - სწორად ცხოვრება და არასწორის გამოსწორება.

პოლკოვნიკი ვენდი სვანი

* 'შალომი' ებრაული მისასალმებელი სიტყვაა. იგი ითარგმნება როგორც 'მშვიდობა', რომელიც გულისხმობს სიმრთელეს და სისწორეს. იგი ნიშნავს კავშირს სხვებთან, შემოქმედთან, ღმერთთან.

სამართლია ნობის აქტი

გააზრებისთვის:

როგორ ვიღებ უცხოს? (სამეზობლოში, სკოლაში, საზოგადოებაში?)

როგორ გამოავლინა უფალმა საკუთარი თავი უცხო ადამიანის მეშვეობით?

დღევანდელი ლოცვა:

ძვირფასო უფალო, დაგვეხმარე, შენი თვალით დავინახოთ უცნობი და უცხოელი. დაე გამოვავლინოთ სიყვარული და მოთმინება, როდესაც ვცდილობთ მათთან ურთიერთობის დამყარებას. ამინ

ყველას მიღება

ლუკა 19:1-3

მთელი მსოფლიოს მაშტაბით ხსნის არმიაში ტრადიციაა ფინჯან ჭიქა ჩაიზე დაპატიჟება. ასეთ დროს გვაქვს დასვენების, განტვირთვის, გაზიარების და ერთმანეთის გაცნობის დრო. ერთი ფინჯანი ჩაი გავძლევს წმინდა სივრცის გაზიარების საშუალებას. სახარებაში ვკითხულობთ რომ იესო ზაქესთან ერთად მიუჯდა სუფრას. ხალხს უკვირს თუ რატომ გააკეთა ეს იესომ, იმიტომ რომ ზაქე არ იყო ის ვისთანაც ვინმე 'ჩაის' დალევდა.

შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები ხშირად რჩებიან მარტო ჩაის შესვენების დროს. ერთმა ჩემმა მეგობარმა ეს შეამჩნია ხსნის არმიის ერთ-ერთი მსახურების შემდეგ. ხალხი თავს არიდებდა მისი დის მაგიდასთან დაჯდომას. მისი და შშმ პირი იყო და ხშირად ჭირდა მისი გაგება.

თუ მისი და გარიყული იყო დილის ჩაის სმის დროს, მაშინ მისი ყოფნაც არ იყო მისაღები. თეოლოგი ჯონ სვინტონი გვახსენებ, რომ ,, იესო იჯდა იმ ხალხთან ვისთანაც საზოგადოებას არ სურდა ჯდომა.''[1]

არჩევანის გაკეთება, თუ ვის გვერდით ვირჩევთ ჯდომას, ბევრ რამეს ეუბნება მას, ვისთანაც ვჯდებით და სხვებსაც, რომ ჩვენ ვაფასებთ მათთან ურთიერთობას და მათ გამოცდილებას. ერთგული სტუმართმოყვარეობა აღიარებს, რომ მაგიდის ორივე მხარეს მჯდომი ადამიანები წარმოადგენენ უფლის ხატებას და აქვთ ნიჭები, რომლის გაზიარებაც შეუძლიათ ერთმანეთისთვის. იმ ადამიანთან ჯდომა, ვინც ჩვენთვის განსხვავებულია, არის ქრისტეს სტუმართმოყვარეობის ნიმუშის მთავარი ნიშანი.

კორალი ბრიდლი

[1] John Swinton, "Using Our Bodies Faithfully: Christian Friendship and the Life of Worship," Journal of Disability & Religion 19 (2015): 239.

ყველას მიღება

გააზრებისთვის:

თქვენს კონტექსტში ვინ არიან ისინი ვისაც იესო სთხოვდა ერთად დაელიათ ფინჯანი ჩაი?

როგორ შეგიძლიათ ერთგულად უმასპინძლოთ შშმ პირებს თქვენს საზოგადოებაში?

დღევანდელი ლოცვა:

მამაო, დაგვეხმარე დავინახოთ შენი ხატება ყველა ადამიანში ვისაც შევხვდებით. წაგვიძეხი რომ ჩვენი სტუმართმოყვარეობით აშენდეს ურთიერთობები. ამინ

გულუხვობა

ლუკა 10:38-42

აფრიკაში სტუმარი ყოველთვის მიღებულია ნებისმიერ დროს წინასწარი შეთანხმების გარეშე. ზიმბაბველი შონას ანდაზა 'mueni haapedzi dura' ნიშნავს 'სტუმარი შენს რესურსებს ვერ ამოწურავს'. ეს ანდაზა ხაზს უსვამს იმ ჭეშმარიტებას, რომ იმის გაზიარება, რაც გაქვს სხვისთვის, მათ შორის უცხოსთვის ან მოულოდნელი სტუმრისთვის არ მოგაყენებს დიდ ზარალს. რუანდული ანდაზა 'Umushyitsi akurisha imbuto',ნიშნავს ,,ვიზიტორის გამო ამზადებ იმ თესლს, რომელიც დასათესად გქონდა გადანახული.'' როდესაც საუკეთესო რესურს იყენებ, შენც სარგებლობ ამ რესურსით.

ლუკა 10:38-42-ში ვკითხულობთ იესოს ისტორიას მართას და მარიამის სახლში, ეს არის გულუხვი სტუმართმოყვარეობის ისტორია, ისე როგორც ეს ჩემს აფრიკულ კონტექსტშია გაგებული. იესო გზაზე იდგა და გადაწყვიტა მართასთვის და მარიამისთვის შეევლო წინასწარი გაფრთხილების გარეშე და გულუხვი მასპინძელიც დახვდა. ეს გვეუბნება რომ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენი რესურსების სიუხვეზე არამედ იმ ადამიანის საჭიროებაზე რომელსაც ვეპატიჟებით.

სტამართმასპინძლობა სცილდება მხოლოდ სუფრის გაშლას, რადგან ეს გამოხატავს ზრუნვას, მხარდაჭერას, მიღებას და მზადყოფნას.

მსოფლიოში მრავლად არიან ისეთები, რომლებსაც საკმარისი დანაზოგი აქვთ, თუმცა უჭირთ მათთან განშორება. არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ მათთვის საკმარისი აქვთ და უჭირთ გაზიარება. რესურსებით სავსე გვაქვს საწყობი თუ მცირე რამ გვიდევს თაროზე, ჩვენ მოწოდებულნი ვართ ღიად გავაღოთ კარი და მოვიწვიოთ სტუმრები. იესო მოგვიწოდებს რომ ვემსახუროთ იმის მიუხედავად რამდენად მზად ვართ ამისთვის. მას სურს რომ ჩვენ გავუზიაროთ საჭიროების დროს და არა მხოლოდ მაშინ როცა ეს მისაღები და კომფორტულია ჩვენთვის.

ნამდვილი სტუმართმოყვარეობა, როგორც გულუხვობა, მომდინარეობს გულუხვი გულიდან და მზრუნველი სიყვარულიდან, რომელიც საუკეთესოს უსურვებს ყველას, მათ შორის უცნობებს.

ვიცე-პოლკოვნიკი სელესტინ აიაბაგაბო
და პოლკოვნიკი ბიშო სამჰიკა

გულუხვობა

გააზრებისთვის:

ამ ისტორიაზე დაფიქრებისას, დღეს რა მაძლევს მოტივაციას სტუმართმოყვარეობისას?

აჩვენებს თუ არა თქვენი სტუმართმოყვარეობა თქვენს მზადყოფნას, ხელმისაწვდომობას და სურვილსემსახუროთ სხვებს შეზღუდვების გარეშე?

დღევანდელი ლოცვა:

ძვირფასო უფალო, შეიძლება მოულოდნელად ვინმე გამოჩნდნენ ჩემს ზღურბლზე, დამეხმარე გამოვხატო გულუხვი სტუმართმოყვარეობა... ისეთი, რომელიც არის მოსიყვარულე და მზრუნველი. ამავსე სურვილით მივიღო ისინი, როგორც შენი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლის გამოხატულება. ამინ

ვიცე-პოლკოვნიკი სელესტინ აიაბაგაბო
და პოლკოვნიკი ბიშო სამჰიკა

ცხოვრების გზა

რომაელთა 12:9-21 **ლუკა** 10: 38-42 **საქმეები** 18:2-3
დაბადება 18:1-8 **საქმეები** 9:36 **რუთი** 2:8-16

ღმერთი საკუთარ ხალხზე ზრუნავს საკუთარი ხალხის დახმარებით

ამ სასწავლო სერიაში ჩვენ ვისაუბრეთ ბიბლიაში მოძიებულ სტუმართმოყვარეობის რამოდენიმე მაგალითზე და მოწოდებაზე გულუხვობით წუწუნის გარეშე არა მხოლოდ ჩვენი სტუმრებისთვის, არამედ წმინდათა და უცხოთათვისაც.

როგორც მორწმუნეები და ქრისტეს სხეულის ნაწილი, ჩვენ ვირეკლავთ ქრისტეს მსგავსებასა და ღვთის სიყვარულს, როდესაც გულუხვად ვმასპინძლობთ. წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც ჩვენ ყველანი ერთგულად ვაღებთ კარს, საკუთარ თავზე მაღლა ვაყენებთ სხვას პატივისცემით და ერთმანეთს ვუყოფთ ყველაფერს.

სტუმართმოყვარეობა უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი პრაქტიკა; ეს არის ცხოვრების წესი. რომაელთა 12:9-21 ასახავს ქრისტიანული სტუმართმოყვარეობის თავისებურებებს. ეს მოითხოვს ჩვენს დროის, ფინანსების, ჩვენი უნარებისა და რესურსების გაზიარებას სიკეთით და პატივისცემით. მსხვერპლს მოითხოვს. ეს არის სიყვარული მოქმედებაში.

წმინდა წერილი გვეუბნება, რომ იესო, მისი მოწაფეები და წინასწარმეტყველები მიღებულნი იყვნენ სიყვარულით, თავაზიანობითა და განსაკუთრებული სიკეთით.

მართამ და მარიამმა გულუხვად უმასპინძლეს იესოს (ლუკა 10:38-42). პრისკილა და აკვილამ საკუთარი კარი გაუღეს პავლეს (საქმეები 18:2-3). სარა და აბრაამი სტუმართმოყვარეები იყვნენ სტუმრებთან (დაბადება 18:1—8).

ტაბითა ავლენდა სიკეთეს თავისი საქმეებით (საქმეები 9:36), ბოაზი კი განსაკუთრებულ კეთილშობილებას და სიკეთეს ავლენდა რუთის მიმართ (რუთი 2:8-16). სია გრძელია.

ბიბლია არის ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი და ღვთის სიტყვაში გაზიარებული უამრავი მაგალითიდან შეგვიძლია ვისწავლოთ, რომ სტუმართმოყვარეობა ნიშნავს ადამიანების მიღებას, გაზიარებას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას ღვთის წყალობის შესაბამისად და პატივისცემით მოპყრობას.

ჩვენ ვადიდებთ ღმერთს ხსნის არმიისთვის [ეკლესიისთვის], რომელიც გულუხვი ხელებით მასპინძლობს ჭირვებულებს, ტანჯულ თემებსა და ლტოლვილებს, რათა ყველამ განადიდოს, პატივი და დიდება მიუძღვნას ღმერთს, რათა ადამიანებმა იცოდნენ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს მაცხოვნებელი მადლი. ეს უნდა იყოს ჩვენი საბოლოო მიზანი.

სტუმართმოყვარეობა შეიძლება გამოვიჩინოთ ინდივიდებმა, ოჯახებთან ერთად, სამუშაო ადგილებსა და თემებში და, რა თქმა უნდა, ეკლესიის შიგნით. მაგრამ არასოდეს ვეცადოთ ამის გაკეთება საკუთარი თავისთვის. მოდით, ვენდოთ ღმერთს, მის ძეს იესო ქრისტეს და სულიწმიდის ძალას, როცა ვუხსნით ჩვენს კარებსა და გულებს სიყვარულით სხვებს.

კაპიტანი დოროთი მაკვანი

ცხოვრების გზა

გააზრებისთვის:

ჩვენ ნამდვილად ვუმასპინძლდებით სიყვარულით, თანაგრძნობითა და გულუხვობით, თუ უბრალოდ ამას ვაკეთებთ გულწრფელი განზრახვის გარეშე?

დღევანდელი ლოცვა:

ძვირფასო მამაო ზეციერო, დაე შენი წყალობათა და სიყვარულით გამოვიჩინოთ სტუმართმოყვარეობა ყველას მიმართ კეთილშობილებით, შენს განსადიდებლად და უფლის სამეფოს გულისთვის სულიწმიდის ძალით. იესოს სახელით. ამინ.

The reflections in this series were prepared and shared by members of the International Theological Council in collaboration with The Salvation Army International Spiritual Life Development. We are grateful to the International Theological Council for the work they have undertaken on the subject of biblical hospitality in preparation for this series. Find out more about our contributors and the role and work of the International Theological Council at salvationarmy.org
All images sourced from pexels.com. For queries, please contact ihq-sld@salvationarmy.org